

სს „ია-ფეთ იალჩინ პეტროლ თურიზმ
თიჯარეთის“ წარმომადგენლობა
საქართველოში

ინდივიდუალური
ფინანსური ანგარიშგება
31 დეკემბერი 2020 წელი

სს „ია-ფეთ იალჩინ პეტროლ თურიზმ თიჯარეთის“ წარმომადგენლობა საქართველოში

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
საქმიანობის შედეგები	4
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება.....	5

განმარტებითი შენიშვნები

შენიშვნა 1. ზოგადი ინფორმაცია	6
შენიშვნა 2. ანგარიშგების მომზადების საფუძველი	6
შენიშვნა 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	6
შენიშვნა 4. ხარჯები და სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი.....	11
შენიშვნა 5. კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/ზარალი.....	11
შენიშვნა 6. ძირითადი საშუალებები	12
შენიშვნა 7. არამატერიალური აქტივები	12
შენიშვნა 8. ფული და ფულის ექვივალენტები	12
შენიშვნა 9. მარაგი	13
შენიშვნა 10. მოკლევადიანი ვალდებულებები	13
შენიშვნა 11. საკუთარი კაპიტალი	13
შენიშვნა 12. დაკავშირებული მხარეები.....	14
შენიშვნა 13. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	14
შენიშვნა 14. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება.....	14

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2020	31.12.2019	31.12.2018
აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	8	427	360,807	83,987
სავაჭრო მოთხოვნები		2,383,851	2,201,960	2,517,888
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული სახსრები		149,689	149,689	149,689
მარაგები	9	4,531,885	5,243,743	5,243,743
მზა პროდუქცია				
სხვა				
სხვა მოკლევადიანი აქტივები		4,862,354	4,844,628	4,797,143
სულ მოკლევადიანი აქტივები		11,928,206	12,800,827	12,792,450
ბიოლოგიური აქტივები				
თვითღირებულების მოდელით				-
გადაფასების მოდელით				-
გუდვილი				-
სხვა არამატერიალური აქტივი	7	4,556	5,156	5,864
ძირითადი საშუალებები	6	4,594,171	5,073,437	5,369,578
ინვესტიციები შვილობილ საწარმოებში				
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში				
სხვა გრძელვადიანი აქტივები				
სულ აქტივები		16,526,933	17,879,420	18,167,892
ვალდებულებები				
ფინანსური იჯარის ვალდებულება				-
სავაჭრო ვალდებულებები	10	416,347	447,746	440,930
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები				
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	10	1,529	1,018	1,018
საგადასახადო ვალდებულებები	10	6,689,566	6,322,711	6,255,766
გამოუმუშავებული შემოსავალი		-		-
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები				
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		7,107,442	6,771,475	6,697,714
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები				
მიღებული გრანტები				
სხვა ვალდებულებები		38,186	38,186	38,186
სულ ვალდებულებები		7,145,628	6,809,661	6,735,900
საკუთარი კაპიტალი				
საკუთარი კაპიტალი	11	11,235		
სააქციო კაპიტალი (შპს ს შემთხვევაში 'კაპიტალი' კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')				
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	11	9,370,070	11,069,759	11,431,992
გადაფასების რეზერვი				
სხვა რეზერვები				-
საკუთარი კაპიტალი		9,381,305	11,069,759	11,431,992
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		16,526,933	17,879,420	18,167,892

ხელმძღვანელობის სახელით:

ისმაილ ჰაქეი იალჩინ
დირექტორი

2021 წლის 27 სექტემბერი

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

საქმიანობის შედეგები

	2020 წ.	2019 წ.
ნეტო ამონაგები		
საქონლის გაყიდვიდან	1,506,944	325,553
მომსახურების გაწევიდან		
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		
სხვა	1,447,198	263,438
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	59,746	62,115
საწყისი მარაგები	(967,883)	
მარაგების შესყიდვა		
გადამუშავების დანახარჯები		
საბოლოო მარაგები		
საერთო მოგება		
სხვა შემოსავალი	539,061	325,553
დასაქმებულთა ანაზღაურება	-	-
ცვეთა და ამორტიზაცია	(109,018)	(167,498)
საპროცენტო შემოსავალი:	(228,156)	(307,093)
საპროცენტო ხარჯი :		-
იჯარის ხარჯი		
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(27,886)	(21,765)
სულ საოპერაციო ხარჯები	(40,631)	(194,719)
საოპერაციო მოგება (შენიშვნა 4)	(405,691)	(691,075)
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:	133,370	(365,522)
ფინანსური აქტივები	-	-
მარაგები	-	-
სხვა არაფინანსური აქტივები	-	-
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:	(შენიშვნა 5)	(49,588)
მიღებული დივიდენდები		(38)
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	(შენიშვნა 4)	6,002
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	89,784	(362,233)
მოგების გადასახადი		
მოგება/(ზარალი)	89,784	(362,233)
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):	-	-
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	-	-
სხვა	-	-
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	-	-
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	89,784	(362,233)
კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	11,069,759	11,431,992
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)		
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	(1,789,473)	
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		
კაპიტალის სხვა ცვლილებები	11,235	
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	9,381,305	11,069,759

ხელმძღვანელობის სახელით:

ისმაილ ჰაქეი იალჩინ
დირექტორი

2021 წლის 27 სექტემბერი

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

	2020 წ.	2019 წ.
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	1,421,669	287,064
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(3,811)	(10,244)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	(1,778,238)	-
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ექვივალენტებში	(360,380)	276,820
სავალუტო კურსის ეფექტი	-	-
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	360,807	83,987
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	427	360,807

ხელმძღვანელობის სახელით:

ისმაილ ჰაქი იალჩინ
დირექტორი

2021 წლის 27 სექტემბერი



განმარტებითი შენიშვნები

შენიშვნა 1. ზოგადი ინფორმაცია

სს „ია-ფეთ იალჩინ პეტროლ თურიზმ თიჯარეთის“ წარმომადგენლობა საქართველოში, (შემდგომში „კომპანია“) რეგისტრირებულია 2007 წლის 12 იანვარს.

კომპანიის იურიდიული მისამართია: ქ.ბათუმი, ფიროსმანისის ქ. #16.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მშენებლობა.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია სააქციო საზოგადოება „ია-ფეთ იალჩინ პეტროლ თურიზმ თიჯარეთ“, 9260047434 /თურქეთი/.

შენიშვნა 2. ანგარიშგების მომზადების საფუძველი

განცხადება შესაბამისობაზე

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისთვის. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არ არის მითითებული.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოებისათვის (მსს ფასს) შესაბამისად. მსს ფასს სტანდარტზე გადასვლამდე, ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად, კომპანიას არ მოეთხოვებოდა ფინანსური ანგარიშგების მომზადება. კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა ემყარებოდა საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობას.

შენიშვნა 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია ქვემოთ არის წარმოდგენილი. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულად იქნა (იქნება) გამოყენებული ყველა პერიოდის მიმართ, თუ სხვაგვარად არ არის განსაზღვრული.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად მოითხოვს გარკვეული კრიტიკული შეფასებების გამოყენებას და მენეჯმენტის მხრიდან განსჯას კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. საკითხები, რომლებშიც ასახულია ფინანსური ანგარიშგებისთვის მნიშვნელოვანი შეფასებები და დაშვებები აგრეთვე საჭიროებენ მაღალი დონის მსჯელობას და კომპლექსურ მიდგომებს.

ხელმძღვანელობის სახელით:

ისმაილ ჰაქეი იალჩინ
დირექტორი

2021 წლის 27 სექტემბერი

სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

კომპანიის სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში. ყოველგვარი ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია ერთეულამდე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები თავდაპირველად აღირიცხება ლარში, რომლის კონვერტაციაც ხდება ოპერაციის აღიარების დღეს არსებული სპოტ გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია საანგარიშგებო თარიღისათვის ლარის სპოტ გაცვლითი კურსის შესაბამისად. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში. უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსები - საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი:

	აშშ დოლარი
2019 წლის 31 დეკემბრისთვის	2,8677
2020 წლის 31 დეკემბრისთვის	3,2766

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან (მომსახურების გაწევიდან) აღიარდება მაშინ, როცა მყიდველს საქონელი (მომსახურება) მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე. შემოსავლები ფასდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულების ოდენობით. გაყიდვები ნაჩვენებია დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები აღიარდება, როდესაც კომპანია ამ ინსტრუმენტების ხელშეკრულების მხარე ხდება. თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური ინსტრუმენტები ფასდება გარიგების ფასით.

კომპანიის ძირითად ფინანსურ აქტივებს წარმოადგენს ფული და ფულის ექვივალენტები, სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება.

ფინანსური ვალდებულებები (ნასესხები თანხები, სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები) შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, საბაზრო საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში..

სავაჭრო მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება/ ზარალში.

ხელმძღვანელობის სახელით:

ისმაილ ჰაქეი იალჩინ
დირექტორი

2021 წლის 27 სექტემბერი

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით.

მარაგების შეძენის დანახარჯები მოიცავს მათი შეძენის ღირებულებას, საიმპორტო, საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო ორგანო კომპანიას უნდა დაუბრუნოს), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის და უშუალოდ მარაგების შეძენასთან დაკავშირებულ სხვა დანახარჯებს. სავაჭრო ფასდაკლება და სხვა სახის ფასდათმობები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებებში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა კლასისათვის. პერიოდის ცვეთის ხარჯი აღიარებულია ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯში.

ქვემოთ წარმოდგენილია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები:

• შენობა-ნაგებობები	50 წელი
• მანქანა-დანადგარები	5-10 წელი
• კომპიუტერები და ოფისის აღჭურვილობა	5-10 წელი
• ავეჯი და სხვა ინვენტარი	5-10 წელი
• სატრანსპორტო საშუალებები	5-10 წელი

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს ცალკე შეძენილ ლიცენზიებს (კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფა). არამატერიალური აქტივის ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. შეფასებული მომსახურების ვადა და ამორტიზაციის დარიცხვის მეთოდი ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გადაისინჯება, ხოლო შეფასების ცვლილების ნებისმიერი გავლენა პერსპექტიულად აისახება.

არამატერიალური აქტივის სასარგებლო გამოყენების ვადაა 10 წელი.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის უნდა ჩატარდეს ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ინდიკატორი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. თუ არსებობს აქტივების შესაძლო გაუფასურების ნიშნები, მაშინ უნდა შეფასდეს ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდეს მის საბალანსო ღირებულებას. იმ შემთხვევაში, თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება

ხელმძღვანელობის სახელით:

ისმაილ ჰაქეი იალჩინ
დირექტორი

2021 წლის 27 სექტემბერი

შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური მარაგის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური მარაგის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა (კომპენსირება), აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური მარაგების შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

წარმომადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტებს არ ითვალისწინებს. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

ხელფასები, გასამრჯელოები, ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულებები, ბიულეტენები, პრემიები და არაფულადი სარგებლები კომპანიის მიერ ექვემდებარება დარიცხვას იმავე პერიოდში, რომელშიც კომპანიის თანამშრომლების მიერ შესაბამისი მომსახურება იქნა გაწეული. არსებითობის პრინციპიდან გამომდინარე, კომპანიის მიერ არ ხდება გამოუყენებელი შვებულების ანარიცხების აღრიცხვა ფინანსურ ანგარიშგებაში (არაარსებითობის გამო).

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება მარტივ (ჩვეულებრივ) იჯარად.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები წრფივი მეთოდით აისახება მოგებაში ან ზარალში შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

ხელმძღვანელობის სახელით:

ისმაილ ჰაქეი იალჩინ
დირექტორი

2021 წლის 27 სექტემბერი

დღგ

კომპანიის მიერ გაყიდვების/მომსახურების გაწევის ოპერაციებთან დაკავშირებული დღგ სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელია მიწოდებული საქონლის ან გაწეული მომსახურების შესაბამისად, კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში. კომპანიას შეუძლია განახორციელოს დღგ-ს ჩათვლა შესაბამისი ჩასათვლელი თანხების დეკლარირების გზით. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დაშვებულია გადამხდელის მიერ დღგ-ის თანხის გადახდა ე.წ. „წმინდა თანხის“ საფუძველზე (მიღებული დღგ-ს ჩათვლის გათვალისწინებით). შესაბამისად, კომპანიის მიერ განხორციელებული დასაბეგრი ოპერაციების საფუძველზე გადასახდელი დღგ, რომლის გადახდაც არ მომხდარა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება (აღიარდება) ე.წ. „წმინდა თანხის“ საფუძველზე (მიღებული დღგ-ს ჩათვლების გათვალისწინებით).

დივიდენდის განაწილება

დივიდენდები საკუთარ კაპიტალში აღიარდება, როგორც იმ პერიოდის კაპიტალის შემცირება, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა. დივიდენდები, რომლებიც გამოცხადებულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, განიხილება, როგორც შემდგომი მოვლენა და შესაბამისად აისახება განმარტებით შენიშვნებში.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის დასრულებისათვის არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, შეიცვალა კომპანიების დაბეგვრის ადრე არსებული მოდელი, რომელიც ყველა პირისთვის, გარდა გარკვეული გამოწვევებისა (მათ შორისაა კომერციული ბანკები, სადაზღვევო და საკრედიტო ორგანიზაციები, და სხვა), ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან (ე.წ. „ესტონური“, მოდელი).

ახალი მოდელის მიხედვით, კომპანიებს აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მოგებიდან (რომელიც მიღებულია 2017 წლის 1 იანვრიდან) მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდების, ან სხვა ფორმით (მანამდე არსებული მოდელის მიხედვით, კომპანიის მოგება 15%-იანი გადასახადით იბეგრებოდა იმის მიუხედავად, ხდებოდა თუ არა წმინდა მოგების დივიდენდის სახით განაწილება).

წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლისგანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

ფინანსური ანგარიშგებების შესწორება გამოცემის შემდეგ

ნებისმიერი ცვლილების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში, მისი გამოცემის შემდეგ, დამტკიცებას ექვემდებარება კომპანიის იმავე მენეჯმენტის მიერ, რომლის მიერაც მოხდა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების ავტორიზაცია გამოცემის მიზნით.

ხელმძღვანელობის სახელით:

ისმაილ ჰაქიი იალჩინ
დირექტორი

2021 წლის 27 სექტემბერი

შენიშვნა 4. ხარჯები

კომპანიაში ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ხარჯები მოიცავს:

	31.12.2020	31.12.2019
შრომის ანაზღაურება	109,018	167,498
ცვეთა და ამორტიზაცია	228,156	307,093
საიჯარო ქირა	27,886	21,765
რეკლამის ხარჯები	-	243
რემონტის ხარჯები	1,882	35,268
კომუნიკაციის ხარჯები	7,249	8,738
დასუფთავების ხარჯები	2,086	2,086
კომუნალური ხარჯები	23,065	76,418
საკანცელარიო და ოფისის ხარჯები	15	773
წარმომადგენლობითი ხარჯები	-	747
საკონსულტაციო ხარჯები	-	25000
საექსპერტო დასკვნის და საჯარო რეესტრის ხარჯები	560	2,712
სხვადასხვა მომსახურების ხარჯები	2,120	41,579
სხვა საერთო ადმინისტრაციული ხარჯები	3,654	1,155
სულ	(405,691)	(691,075)

სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი /ხარჯი

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	31.12.2020	31.12.2019
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	6,513	3,327
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	(511)	-
სულ	6,002	3,327

შენიშვნა 5. კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/ზარალი

	31.12.2020	31.12.2019
მოგება კურსთაშორის სხვაობიდან	4,020	-
ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან	(53,608)	(38)
სულ	(49,588)	(38)

ხელმძღვანელობის სახელით:

ისმაილ ჰაქი იალჩინ
დირექტორი

2021 წლის 27 სექტემბერი

სს „ია-ფეთ იალჩინ პეტროლ ტურიზმ თიჯარეთის“ წარმომადგენლობა საქართველოში
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

შენიშვნა 6. ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთები	შენობა-ნაგებობები და სხვა ძირითადი საშუალებები	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სულ
წმინდა საბალანსო ღირებულება 01.01.2019	2,136,953	3,219,371	13,254	5,369,578
შემოსვლა	-	7,481	2,763	10,244
გასვლა				
პერიოდის ცვლათა		(298,341)	(8,044)	(306,385)
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2019	2,136,953	2,928,511	7,973	5,073,437
შემოსვლა		3,726	85	3,811
გასვლა		(255,521)	-	(255,521)
პერიოდის ცვლათა		(219,824)	(7,732)	(227,556)
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2020	2,136,953	2,456,892	326	4,594,171

შენიშვნა 7. არამატერიალური აქტივები

წმინდა საბალანსო ღირებულება 01.01.20120	5,156
პერიოდის ცვლათა	(600)
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2020	4,556

შენიშვნა 8. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	31.12.2020	31.12.2019
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	427	360,807
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	-	-
	427	360,807

ხელმძღვანელობის სახელით:

ისმაილ ჰაქი იალჩინ
დირექტორი

2021 წლის 27 სექტემბერი

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შენიშვნა 9. მარაგი

სასაქონლო-მატერიალური მარაგები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	31.12.2020	31.12.2019
ნედლეული და მასალები	268,367	267,864
დაუმთავრებელი წარმოება	12,819	12,819
მზა პროდუქცია	4,250,699	4,963,060
სულ	4,531,885	5,243,743

შენიშვნა 10. მოკლევადიანი ვალდებულებები

	31.12.2020	31.12.2019
სავაჭრო ვალდებულებები	416,347	447,746
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	1,529	1,018
საგადასახადო ვალდებულებები	6,689,566	6,322,711
სულ	7,107,442	6,771,475

საგადასახადო ვალდებულებები

	31.12.2020	31.12.2019
გადასახდელი (გადახდილი) მოგების გადასახადი	(71,477)	(71,477)
გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	1,748,927	1,644,954
გადასახდელი დღგ	8,404,072	8,132,823
უკუდაბეგვრის წესით დარიცხული დღგ	567	567
გადახდილი დღგ	(3,428,650)	(3,421,154)
სოციალური გადასახადი (საპენსიო)	(216)	655
ქონების გადასახადი	48,827	48,827
მიწის გადასახადი	(26)	(26)
სხვა საგადასახადო ვალდებულებები	(12,458)	(12,458)
სულ	6,689,566	6,322,711

შენიშვნა 11. საკუთარი კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს ნომინალურ კაპიტალს, რომელიც განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 11,235 ლარს. (2019 წლის 31 დეკემბერი - 0 ლარი)

ხელმძღვანელობის სახელით:

ისმაილ ჰაქეი იალჩინ
დირექტორი

2021 წლის 27 სექტემბერი

დივიდენდები

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, გასანაწილებელი მოგების ოდენობა შეზღუდულია გაუნაწილებელი მოგების თანხით, რომელიც დაფიქსირებულია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში.

	საწასდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	გადაფასების რეზერვი	სულ კაპიტალი
ნაშთი 01.01.2019	-	11,431,992	-	11,431,992
მიმდინარე წლის მოგება/(ზარალი)	-	(362,233)		(362,233)
გადახდილი დივიდენდი	-	-	-	-
ნაშთი 31.12.2019	-	11,069,759	-	11,069,759
კაპიტალის ზრდა/შემცირება	11,235	-		11,235
მიმდინარე წლის მოგება/(ზარალი)	-	89,784		89,784
გადახდილი დივიდენდი	-	(1,789,473)	-	(1,789,473)
ნაშთი 31.12.2020	11,235	9,370,070	-	9,381,305

შენიშვნა 12. დაკავშირებული მხარეები

ტრანზაქციები ხელმძღვანელთან:

	31.12.2020	31.12.2019
ანაზღაურების მთლიანი თანხა	300,000	300,000

შენიშვნა 13. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მნიშვნელოვანი მოვლენები არ მომხდარა.

შენიშვნა 14. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2021 წლის 27 სექტემბერს.

ხელმძღვანელობის სახელით:

ისმაილ ჰაქეი იალჩინ
დირექტორი

2021 წლის 27 სექტემბერი